საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კავი

კავი, მიწის სახვნელი ძველი იარაღი (აჩაჩა). ამზადებენ ხისგან. შედგება მხარის, კბილის, ერქვნისა და სახნისისაგან. ცნობილი იყო ხევსურული, თუშური, კახური, ქართლური, მოხეური, მეგრული, იმერული, სვანური და სხვ. კ-ები. საქართვ. მთის ზოლში გავრცელებული იყო კ-ის ერთ-ერთი სახეობა ე. წ. კ ა ვ წ ე რ ა, რ-ის საშუალებითაც კაწრავდნენ სახნავ ფენას, რაც შემდეგ აადვილებდა ხვნის პროცესს.

კ-ს მიწათმოქმედებაში ენეოლითის ხანიდან იყენებდნენ. შუმერსა და ბაბილონში ძვ. წ. IV ათასწლეულში კ-ის რამდენიმე სახეობა იყო ცნობილი.

ლიტ.: ჩ ი ტ ა ი ა გ., შრომები, ტ. 1, თბ., 1997; ჯ ა ლ ა ბ ა ძ ე გ., აღმოსავლეთ საქართველოს სამიწათმოქმედო იარაღების ისტორიიდან, თბ., 1960; მ ი ს ი ვ ე, მემინდვრეობის კულტურა აღმოსავლეთ საქართველოში, თბ., 1990; Ч и т а я Г. С., Земледельческие системы и пахотные орудия Грузии, კრ.: Вопросы этнографии Кавказа, Тб., 1952.

გ. ჯალაბაძე